პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 30-17 წელი

№ 78 (1714) | კვირა, 11 ივნისი, 1961 წ. | ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინალისტები

ათმა საბჭოთა მოკრივემ დაიწყო ევროპის ჩემპიონის სატიტულისათვის ბრძოლა ბელგრადის რინგზე ერთი კვირის წინ. ამ ხნის განმავლობაში ზოგიერთი ბრძოლა მოულოდნელი შედეგით დამთავრდა, მოკრივეთა უმრავლესობამ კი კანონზომიერი თანმიმდევრობით დასტოცა ჩემპიონატი და აქტიური მონაწილის როლი გასცვალა არანაკლებად აქტიური მაყურებლის როლზე.

სხვა ალარებულ პრეტენდენტთა შორის ასეთი მეტამორფოზა განიცადეს საბჭოთა მოკრივეებმა მსუბუქ და ქვემძიმე წონებში. კაკოშვილმა (მსუბუქი წონა) კარგად დაიწყო შეხვედრა იუგოსლაველ ბენედეკის წინააღმდეგ. მან მოიგო კიდეც პირველი რაუნდი და შეინარჩუნა უპირატესობა მეორე რაუნდში. და როდესაც საბჭოთა მოკრივის გამარჯვებაში ეჭვი უკვე ალარავის ეპარებოდა, ბენედეკმა წამოიწყო უკანასკნელი და გადამწყვეტი შტურმი. სწორედ ამ მომენტში გატყდა კაკოშკინის დამარცხებლობა. საბჭოთა მოკრივემ ინიციატივა მთლიანად დაუთმო იუგოსლაველს. მაყურებელთა მხურვალე მხარდაჭერის ქვეშ გამუდმებული იერიშებით დაამთავრა მესამე რაუნდი ბენედეკმა. ამ უკანასკნელმა საბმა წუთმა იუგოსლაველ სპორტსმენს ძნელი და საპატიო გამარჯვება მოუტანა.

მეოთხედფინალში დაპყარა ფარხმალი მეორე საბჭოთა მოკრივემაც პოზნიაკმა (ქვემძიმე წონა). ეს ბრძოლა, როგორც ორი წვეთი წყალი ჰგავდა წინამორბედს, გამოცდილმა რუმინელმა ნეგრიამ თავიდანვე ვერ აუღო ალღო საბჭოთა სპორტსმენის ტაქტიკას. პოზნიაკმა მოიგო პირველი რაუნდი. შესვენების შემდეგ რუმინელმა მდგომარეობის გამოსწორება სცადა, მაგრამ წაწყდა ძლიერ დარტყმას და ნოკდაუნში აღმოჩნდა.

მესამე რაუნდში რუმინელი დაეყრდნო თავის ფიზიკურ ძალას. დაიწყო ხანგრძლივი და ყოველგვარ აზრს მოკლებული ირიშები, რომელმაც როგორც სჩანს მოხიბლა მსაჯთა კოლეგია. მაყურებელთა გამაყრუებელი საპროტესტო სტვენის და შეძახილების მიუხედავად შეხვედრის არბიტრმა გამარჯვებულად ნეგრია გამოაცხადა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში საბჭოთა მოკრივეებმა წარმატებებს მიაღწიეს მეოთხედფინალში და გაინაღდეს ჩემპიონატის შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება. საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფალური სვლა ვერც ნახევარფინალებმა შეაჩერეს. 8 შეხვედრიდან 8 გამარჯვება — ასეთი იყო მათი შედეგები ფინალის წინა ეტაპზე. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მჩატე წონაში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრის სივკოს წარმატებას ნახევარფინალში, სადაც მან ლაშაზ ტექნიკურ ბრძოლაში დამარცხა ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი, რომის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, იტალიელი ძამპარინი.

ევროპის პირველობის ფინალში რვა საბჭოთა მოკრივე გავიდა: ვ. სტოლნიკოვი (უმჩატესი წონა) ს. სივკო (მჩატე წონა), ა. ზასუხინი (ქვემსუბუქი წონა), ა. ტუმინში (პირველი ქვესაშუალო წონა), რ. ტამულისი (მეორე ქვესაშუალო წონა), ბ. ლაგუტინი (პირველი საშუალო წონა), ე. ფეოფანოვი (მეორე საშუალო წონა), ა. აბრამოვი (მძიმე წონა).

გუშინ, გვიან საღამოთი ჩატარდა ფინალური ბრძოლები, რომელსაც უნდა გამოვლინა ევროპის 1961 წლის ჩემპიონები კრივში. ერთმანეთს ხვდებოდნენ: (წონითი კატეგორიებს მიხედვით სტოლნიკოვი (სსრკ)-ვაკა (იტალია), სივკო (სსრკ)-გუტმანი (პოლონეთი); ა. ზასუხინი (სსრკ)-ტეილორი (ინგლისი), ბენედეკი (იუგოსლავია),-მაკეგერტი (შოტლანდია), ტუმინში (სსრკ)-მეხოვიჩი (იუგოსლავია), ტამულისი (სსრკ)-მაივრი (შვეიცარია), ლაგუტინი (სსრკ)-ნეიდელი (გდრ). ფეოფანოვი (სსრკ)-ვალასკი (პოლონეთი), სარაუდი (იტალია)-ნეგრია (რუმინეთი), აბრამოვი (სსრკ)-პენა (იტალია).

როგორც ხედავთ, ჩემპიონატში ყველაზე მეტი ფინალისტი ჰყავს საბჭოთა კავშირს — 8. შემდეგ მოდიან: იტალია — 3, იუგოსლავია და პოლონეთი — 2-2. რუმინეთს, გდრ-ს, შვეიცარიას, შოტლანდიასა და ინგლისს ფინალში ჰყავთ თითო მოკრივე.

საბჭოთა კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრას მოსკოვში დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს სახელოვანი მფრინავი-კოსმონავტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი იური გაგარინი. ეს არ იყო უბრალო მაყურებლის ინტერესი. იური პირველთანრიგოსანი კალათბურთელია, ბევრი მატჩის მონაწილე, თავისი გუნდის კაპიტანი და წამყვანი მოთამაშე.

მატჩის შემდეგ კოსმოსის გმირმა ჩანაწერი გაუკეთა სპორტის სახახლის შთაბეჭდილებათა წიგნში: „გულითადი მადლობა ბედნიერი წუთებისათვის, რომლებიც მე განვიცადე თქვენთან, სპორტის სასახლეში. ძალიან მომეწონა ჩვენი ნაკრები გუნდების თამაში კალათბურთში. ყოჩაღ, ქალებო! ვუსურვებ მათ გამარჯვებას, ვუსურვებ ჩვენს სპორტსმენებს ყველგან და ყოველთვის იყვნენ პირველნი“.

შემდეგ გაგარინმა ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრებთან და კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად გადაიღო სურათი, რომელსაც ზემოთ ვაქვეყნებთ.

ი. გაგარინს — ოქროს მედალი

პარიზში გაიმართა ავიაციის საერთაშორისო ფედერაციის (ფაი) ადმინისტრაციული საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა ავიაციის გამოჩენილი ადამიანებისა და სპორტსმენების მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოების საკითხები.

ოქროს მედლების კანდიდატები იყვნენ მსოფლიოში პირველი მფრინავი-კოსმონავტი ი. გაგარინი, ამერიკის ავიაციის ცნობილი მოღვაწე თ. ფონ-კარმანი და ფრანგი მფრინავი-გამომცდელი რ. ბიგანი.

ფაი-ს ადმინისტრაციულმა საბჭომ ოქროს მედალი ერთხმად მიანიჭა ი. გაგარინს და დაადგინა იგი გადაეცეს ოქტომბერში ფაი-ს 54-ე კონფერენციაზე.

საერთაშორისო ტურნირებზე

უიმბლდონის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ინგლისში გაემგზავრა ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდი. როგორც ცნობილია, უიმბლდონის ტრადიციული ტურნირი ითვლება ჩოგბურთელთა არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში არიან: ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ვ. კუზმენკო (კიევი), ა. დმიტრიევა (მოსკოვი), გ. ბაკშეევა (კიევი), თ. ლეიუსი (ტალინი), ს. ლიხაჩოვი (ბაკო) და ახალგაზრდა თბილისელი სპორტსმენი ნ. მძინარიშვილი.

* * *

ამ დღეებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრება მოზარდი ჩოგბურთელი პ. მეტრეველი.

„ა“ კლასში

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ივნისისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ მ.	10	8	1	1	16:6	17
„ავანგარდი“ ხ.	11	6	3	2	12:8	15
„ნეფტიანიკი“ ბ.	10	4	4	2	11:9	12
„ლოკომოტ.“ მ.	11	4	4	3	16:17	12
სკა როსტ.	10	4	2	4	18:11	10
„დინამო“ თბ.	10	4	2	4	13:11	10
„ადმირალტ.“ ლ.	10	4	1	5	10:10	9
„შახტიორი“ სტ.	10	2	4	4	7:13	8
„დაუგავა“ რ.	10	2	3	5	10:14	7
„ტრუდი“ ვორ.	10	1	4	5	6:11	6
„სპარტაკი“ ვ.	10	1	4	5	9:18	6

* * *

მოსკოვი. 10 ივნისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ა“ კლასის I ქვეჯგუფის გუნდები: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) „ავანგარდი“ (ხარკოვი).

მატჩი დამთავრდა „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ ანგარიშით 2:1.

ოთხი საერთაშორისო

ამჟამად ერთდროულად მიმდინარეობს ოთხი დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი — სამი საბჭოთა კავშირში (მოსკოვში, დონის როსტოვში, ლვოვში) და ერთიც ციურიხში. ამ ტურნირებში წარმატებით მონაწილეობენ საბჭოთა მოჭადრაკეები.

მოსკოვში დასასრულს უახლოვდება საბჭოთა კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციული ტურნირი, რომელშიც 7 საბჭოთა და ამდენივე უცხოელი მოჭადრაკე მონაწილეობს. წარმატებით გამოდის შეჯიბრებაში გროსმაისტერი ვ. სმისლოვი, რომელიც ერთპიროვნულად ლიდერობს.

დონის როსტოვში. საბჭოთა ოსტატებთან ერთად ბრძოლაში ჩაბმული არიან ურუგვაის, იუგოსლავიის, გერმანიის, დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის მოჭადრაკეები. აქ თავიდანვე დაწინაურდა ტურნირის უხუცესი მონაწილე ოსტატი ნეიმეტდინოვი. VIII ტურის შემდეგ ნეიმეტდინოვს 6,5 ქულა აქვს. ყაზანელ ოსტატს კვალში მიყვება გროსმაისტერი ტალიანოვი, რომელსაც 0,5 ქულით ნაკლები აქვს.

ლვოვში მიმდინარეობს ჭაბუკ (20 წლის ასაკამდე) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. ასეთი შეჯიბრება პირველად მოეწყო ჩვენს ქვეყანაში. ტურნირში გამარჯვებისათვის ებრძვიან საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, უნგრეთის ჭაბუკები. VII ტურის შემდეგ დაწინაურდა უკრაინელი სავონი, რომელსაც 6,5 ქულა აქვს.

დიდი პოპულარობით სარგებლობს ციურიხის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ევროპისა და ამერიკის გამოჩენილ მოჭადრაკეებთან ერთად მონაწილეობენ სსრ კავშირის ჩემპიონი პეტროსიანი და გროსმაისტერი კერესი.

ბრძოლა პირველი ადგილისათვის ძირითადად მიმდინარეობს საბჭოთა მოჭადრაკეებს შორის. VII ტურის შემდეგ კერესს 6,5 ქულა აქვს, ხოლო პეტროსიანს — 6. გარკვეულ მომენტამდე ლიდერებს კონკურენციას უწევდა გლიგორიჩი, მაგრამ მატულოვიჩთან დამარცხების შემდეგ მას გაასწრო ლარსენმაც.



მოსკოვში დამთავრდა რსფსრ-სა და შვეიცარიის წყალში მხტომელთა ამხანაგური შეჯიბრება, რომელიც მოიგეს მასპინძლებმა.

ხურათზე: კ. რუბრანტი (შვეიცარია) ასრულებს ვარჯიშს.

ფოტო ვ. ტუტოვისა

წოდებათა მინიჭება

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება მიანიჭა ჩვენი კალათბურთის ვეტერანს, სპორტის ოსტატ ალექსი მესხს, „დინამო“, თბილისი.

საპატიო წოდება ტანვარჯიშში მიენიჭა ნოდარ ბახუტაშვილს („დინამო“, თბილისი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად!

მოწინავეთა რიგებში

გვაქვს ხარვეზებიც

ჯანმრთელ ადამიანს შრომაც ეხალისება და სწავლაც, ამიტომ ჩვენს ტექნიკუმში დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას უთმობენ ფიზკულტურასა და სპორტს — ადამიანის ფიზიკური წრთობის ამ შესანიშნავ საშუალებას. თითქმის ყველა მოსწავლისათვის სავალდებულოა გავხადეთ ვარჯიში სპორტის რომელიმე სახეობაში. შედეგებიც კარგი გვაქვს. შევძელით მინიმუმამდე დაგვეყვანა ავადმყოფობის გამო მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენა და მოგვეპოვებინა რესპუბლიკის ტექნიკუმებს შორის წამყვანი ადგილი. თუმცა არც ნაკლოვანებისაგან ვართ დაზღვეულნი—რეგულარულად არ გამოდის სპორტული კედლის გაზეთი, მოსაწყობია ჩვენი სპორტსმენების მიერ სხვადასხვა შეჯიბრებებში მოპოვებული „ნადავლის" კუთხე და სხვა წვრილმანი, რომელთა დაძლევა ჩვენი საქმიანობის დღის წესრიგშია.

ამას წინათ ტექნიკუმი ჩაება ფიზკულტურული კოლექტივების კონკურს-დათვალიერებაში, რომლის შედეგები წლის ბოლოს შეჯამდება. ფიზკულტურულმა აქტივმა აიღო წინასწარი ვალდებულებანი.

ნ. ლოლობერიძე,

მანქანათმშენებელი ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.



ჩვენი ზრუნვის ძირითადი უბანი

როგორც წესი, პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად საგანს მშრომელთა და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მათი ფიზიკური წრთობა შეადგენს. ამ უკანასკნელის შესახებ სპეციალური პუნქტია შეტანილი ადგილკომების სახელმძღვანელო ინსტრუქციაში. მაგრამ ადგილკომები ხშირად ივიწყებენ ფიზკულტურაზე ზრუნვას და მთავარ ყურადღებას აქცევენ თვითმოქმედი კოლექტივების საქმიანობას, ჩვენთან კი ფიზკულტურა და სპორტი იმავე უფლებებით სარგებლობს, როგორც, მაგალითად, თვითმოქმედი კოლექტივები ან სხვა რომელიც გნებავთ უბანი. მარტო მიმდინარე სასწავლო წელს ადგილკომმა ტექნიკუმის ფიზკულტურელთათვის შეიძინა 250 მანეთის ველოსიპედები, 600 მანეთის სპორტული ფორმა და განზრახული კიდევ 200 მანეთი დახარჯოს ინვენტარის ფონდის შევსებაზე.

ადგილკომის სხდომებზე ხშირად ვიხილავთ პედაგოგების, სექციების, ბაზების საკითხს, მოწინავე სპორტსმენთა წასახალისებლად შემოვიღეთ ადგილკომის სიგელები.

ფიზკულტურის საბჭოსა და ადგილკომის კავშირის განმტკიცება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ტექნიკუმში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის აღმავლობას.

დ. გვალია,

ადგილკომის თავმჯდომარე.

სპორტისადმი სიყვარული სძლევს ყველაფერს

საპატიო იყო თბილისის ფიზკულტურული კოლექტივების საიუბილეო სპარტაკიადაში მონაწილეობა, მაგრამ უფრო საპატიო და სასახელო „ბრძოლის ველიდან" გამარჯვებით დაბრუნება, რომელიც საგზურს იძლეოდა რესპუბლიკური საიუბილეო სპარტაკიადის ფინალისაკენ. დედაქალაქის თითქმის ყველა მსხვილი საწარმო და უმაღლესი სასწავლებელი იბრძოდა გამარჯვებისათვის, მაგრამ მათ შორის იყვნენ მცირერიცხოვანი კოლექტივებიც. მართალია, ისინი პროგრამის ყველა სახეობაში ვერ გამოდიოდნენ, თუმცა მათთვის სასურველ რამდენიმე სახეობაში მაინც ცდილობდნენ „გამოეგლიჯათ" უპირატესობა მათზე დიდი კოლექტივებისათვის. ერთი ასეთთაგანი იყო თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივი.

აქ კარგად იციან, რა მნიშვნელობა აქვს შეჯიბრებებს, რომლებიც სრულად იძლევიან სპორტსმენის, მთელი კოლექტივის, მწვრთნელის მიერ გაწეული მუშაობის ანალიზს, ავლენენ დადებით და უარყოფით მხარეებს. შეჯიბრებაში იზრდება და მტკიცდება კოლექტივის მომავალი და დღეისათვის უპირატესობას აძლევს მას, ვისაც სწორად აქვს დაყენებული წვრთნის ორგანიზაცია.

ოთხ სახეობაში სცადეს ძალები მანქანათმშენებელთა მოცურავეებმა, ტანმოვარჯიშეებმა და ველოსიპედისტებმა და ბრწყინვალედ ჩააბარეს გამოცდა.

არც უფრო დიდ ასპარეზობაზე შეურცხვენიათ მათ თავი. მოცურავეებმა პირველი ადგილი მოიპოვეს რესპუბლიკურ საიუბილეო სპარტაკიადზე II ჯგუფში, ტანმოვარჯიშეებმა—მეორე და ველოსიპედისტებმა იმდენივე ქულა მოაგროვეს რამდენიც სოხუმელებმა — 5, მაგრამ მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

აღარ ჩამოვყვებით მომავალ მანქანათმშენებელთა ძველ წარმატებებს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „სპარტაკის" საიუბილეო სპარტაკიადზე ფრენბურთელ ქალთა გუნდის გამოუყვანლობის გამო მათ წააგეს საერთო პირველი ადგილი თბილისის კოოპერაციულ ტექნიკუმთან, მაგრამ სულ მალე, ორიოდე თვის შემდეგ აიღეს რევანში და ტექნიკუმების საქალაქო სპარტაკიადაში არავის დაუთმეს უძლიერესის სახელი.

ტექნიკუმს ვესტუმრეთ იმ დროს, როცა საგაზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური შეხვედრები ტარდებოდა კალათბურთში. ტექნიკუმის მთელი „საბრძოლო" შემადგენლობა მოსულიყო მატჩების სანახავად, პირველი ადგილის ბედი წყდებოდა. გათამაშების ცხრილები შევათვალიერეთ და შევაჯამეთ. მონაწილე გუნდების რაოდენობამ მიაღწია 17-ს. ეს უკვე აშკარად მეტყველებს სპორტის მასობრიობაზე. თუ ვიტყვით იმასაც, რომ ტექნიკუმის სპარტაკიადის დღეებში ფრენბურთსა და კალათბურთში საზოგადოებრივი ძალებით 135 კალენდარული შეხვედრა ჩატარდა, კომენტარები საჭირო აღარ იქნება.

—მასობრიობა და მხოლოდ მასობრიობაა წარმატებათა ძირითადი რგოლი—ხშირად უყვარს თქმა ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარეს, ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს ნ. ლოლობერიძეს. I თანრიგოსანი ფრენბურთელი 11 წელია ხელმძღვანელობს ფიზკულტურის საბჭოსა და ზედმიწევნით იცის მისი მტკივნეული მხარეები, ამიტომ დროულად აყენებს მათ პედსაბჭოს, ფიზაღზრდის მასწავლებლების წინაშე. მათთან — ფ. ყარალაშვილთან და ვ. მაჭავარიანთან ერთად ზრუნავს ხარვეზების დაძლევისათვის.

ლონისძიებათა წლიური და ტურნირული სისტემით ჩატარებამ ბევრი კარგი მისცა ტექნიკუმს. აქ ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება ნიშნოსნებისა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები და ხშირად ტექნიკუმდამთავრებულნი მაღალი სპორტული თანრიგით ტოვებენ სასწავლებელს. ამ სამიოდე წლის წინ წარმატებით დაამთავრა ტექნიკუმი სპორტის ოსტატმა თავისუფალ ჭიდაობაში გ. ჯინჭარაძემ, ბირთვის მკვრელმა შ. ელოევმა. აქ სწავლობდა სპორტის ოსტატი სპრინტერი ვ. ლომთაძე.

ისინი წავიდნენ, მაგრამ ტრადიცია გრძელდება, ახალმოსულთა უმეტესობა შესანიშნავად ათავსებს სწავლასა და სპორტს.

მუშაობის ამგვარმა სისტემამ ახალგაზრდების აკადემიური და სპორტული მოსწრების ზრდისათვის ზრუნვამ, გამაჯანსაღებელ საქმიანობაში თითქმის ყველა მოსწავლის მიზიდვამ შედეგი გამოიღო. გაიზარდა დისციპლინა, სასწავლო ლაბორატორიებში სანიმუშო სისუფთავე და წესრიგია და მისი ორგანიზატორები ფიზკულტურელები არიან.

9 ოსტატი და პირველთანრიგოსანი, 115 სხვა თანრიგის სპორტსმენი არც თუ ისე მცირე ძალაა, მაგრამ რეზერვზე ზრუნვას მაინც არ ივიწყებენ მანქანათმშენებლები.

ტექნიკუმის კოლექტივს განზრახული აქვს არ დაკმაყოფილდეს მიღწეულით და ახალი წარმატებებით შეხვდეს სკკპ XXII ყრილობას. საქმიანობა ბაზების რემონტით დაიწყეს. ბაზების სიმცირის გამო ტექნიკუმელებს შორს, დედაქალაქის სხვადასხვა კუთხეში უხდებათ წვრთნისათვის სიარული, ითმენენ ყველაფერს სპორტის სიყვარულით, სიყვარულის წინაშე კი დაბრკოლება არ არსებობს.

ო. გელაშვილი

* * *

სურათებზე: ალბეჭდილია ტექნიკუმის კალათბურთისა და ქართული ჭიდაობის სექციების მეცადინეობის მომენტები.

ლელო

ბე-2 გვ. № 78 (1714)

გათამაშების ცხრილები

პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 10 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	5	5	0	0	29:4	10
ვმფ	5	5	0	0	32:2	10
„დინამო“ ლვ.	5	3	0	2	18:11	6
„ტორპედო“ მ.	5	3	0	2	16:12	6
„ბურევესტ“ ლ.	5	2	0	3	13:10	4
კკფ	5	2	0	3	18:17	4
„მოლდოვა“ კ.	5	0	0	5	5:38	0
„შრ. რეზ“ ფ.	5	0	0	5	1:38	0

მეორე ჯგუფი

მდგომარეობა 11 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	6	6	0	0	31:6	12
„ბურევესტ.“ მ.	6	4	1	1	15:10	9
„ბალტიკა“ ლ.	6	3	2	1	22:14	8
„ბურევესტ.“ კ.	6	3	1	2	18:10	7
„ტრუდი“ რსფსრ	6	3	1	2	13:13	7
„სპარტაკი“ ლ.	6	1	1	4	14:23	3
„ბურევესტ.“ მნ.	6	1	0	5	15:29	2
„დინამო“ ტ.	6	0	0	6	7:31	0

გათამაშების ფინიში

დღეს ლვოვსა და თბილისში დამთავრდება წყალბურთში 1961 წლის საკავშირო პირველობის წინასწარი შეხვედრები, გაირკვევა ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები.

ლვოვში ოთხეულში გასვლის კარგი შანსები ჰქონდა ლენინგრადის „ბურევესტნიკს“, რომელმაც ოთხი შეხვედრიდან 6 ქულა დააგროვა. მაგრამ ლენინგრადელების თამაშის შედეგი მოსკოვის „ტორპედოსთან“ (იგი დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით — 3:2) მსაჯთა კოლეგამ გააუქმა და განმეორებითი მატჩი მოიგო „ტორპედომ“ — 2:1. ლენინგრადელები დამარცხდნენ (3:4) აგრეთვე კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდთან და საგრძნობლად გაუარესეს თავიანთი სატურნირო მდგომარეობა. მორიგი შეხვედრები მოიგეს ლიდერებმა: მოსკოვის „დინამომ“ — ლვოვის „დინამოსთან“ — 3:0 და ვმფ-მა — კიშინიოვის „მოლდოვასთან“ — 9:0. ეს ორი გუნდი უკვე მიუღწეველია დანარჩენი კოლექტივებისათვის. მესამე-მეოთხე ადგილზე პრეტენზიას აცხადებენ ლვოვის „დინამო“, მოსკოვის „ტორპედო“, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი და ლენინგრადის „სპარტაკი“. ამათგან ყველაზე კარგი მდგომარეობა აქვთ ლვოველ და მოსკოველ წყალბურთელებს, თუმცა მათ დარჩენილი აქვთ მეტად ძნელი მატჩები.

მეორე ჯგუფის გუნდების შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო გამოდგა კიევის „ბურევესტნიკისა“ და „ტრუდის“ თამაში. მოსალოდნელი იყო, რომ უკრაინელი წყალბურთელები გაიმარჯვებდნენ და ოთხეულში კონკურენციის გარეშე გავიდოდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. ტრუდელმა სპორტსმენებმა ნთელი თავიანთი მონდომება და ენერგია ჩაჭსოვეს თამაშში და მოიგეს მატჩი ანგარიშით 2:1.

თბილისის „დინამო“ შეხვდა ამ ჯგუფის ერთ-ერთ აუტსაიდერს მინსკის „ბურევესტნიკს“. თამაშის დაწყებამდე ოდნავ აუცილებლობას არ წარმოადგენს, რადგან საქართველოს ჩოგბურთელთა შეჯიბრება პირად პირველობაზე გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. პირველ ორ დღეს სუსტი ჭოთამაშეები გამოეთიშნენ შეჯიბრებას და თბილისის „დინამოს“ კორტებზე თანბამი სიძლიერის სპორტსმენთა შეხვედრები მიმდინარეობს.

ვაჟთა მერვედფინალში ნ. ბარნაბიშვილმა რვეანში აიღო ქალაქის პირველობაზე ა. ბაქრაძესთან დამარცხებისათვის. მან ამჯერად შეძლო ახალგაზრდა, მაგრამ მეტად აგრესიული მოწინააღმდეგის დამარცხება სამივე პარტიაში — 7:5, 6:2, 7:5.

ძმები ა. და პ. მეტრეველების შეხვედრაში პირველი პარტია უმცროსი ძმის სასარგებლოდ დამთავრდა — 6:4. მომდევნო პარტიებში გაზრდილად ჩატარებულმა თამაშმა მეოთხედფინალში გასვლის უფლება მოუტანა უფროსს — პ. მეტრეველს.

ინტერესსმოკლებული არ იყო ორი გამოცდილი ჩოგბურთელის თ. ჟერესელიძისა და ო. ჭარხალაშვილის შეჯიბრებაც. წლების მანძილზე ერთად თამაშის მიუხედავად ეს სპორტსმენები ამ დღეს პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ოფიციალურ მატჩში. ბრძოლა დამთავრდა ო. ჭარხალაშვილის გამარჯვებით — 3:0.

ქალთა ცალკეულ შეხვედრებში ზ. ღოღობერიძემ დაამარცხა ვ. სილანტიევა (6:1, 6:2), რ. აბუანდაძემ — მგალობლიშვილი (6:0, 6:1), ზამბახიძემ — სოლოდოვნიკოვა, მინაევამ — ზდანკევიჩი და სხვ.

შერეულ წყვილთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია ლ. რიაზანოვამ. ურაევსკისა და ზ. ღოღობერიძე-ო. ჭარხალაშვილის შეხვედრამ. ეს იყო სიჭაბუკის და გამოცდილების ჭიდილი: ლ. რიაზანოვა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ქალის ი. რიაზანოვას უმცროსი და, ხოლო დ. ურაევსკი — საქართველოს ძრაველგზის ნეშპიონის ვ. ურაევსკის ძმიშვილი. ამ ორმა ნორჩმა ჩოგბურთელმა უაღრესად მაღალი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და პირველი პარტია თითქმის „ჯილებით“ გამოგლიჯა მოწინააღმდეგეებს — 10:8.

სიჭაბუკემ სძლია

ჭარხალაშვილმა, ღოღობერიძემ სცადეს მეორე პარტიაში შეტანილი ეარდატანა, მაგრამ ამჯერად სიჭაბუკემ ალერადგ ძლია გამოცდილებას — 6:4.

შეჯიბრება გრძელდება.

გ. სამსონაძე

„ბ“ კლასში

ბობრუისკი. 9 ივნისს აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის. სოხუმის „რიწა“ შეხვდა ადგილობრივ გუნდს.

მატჩი მოიგეს ბობრუისკის ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0.

* * *

გუშინ ქუთაისსა და რუსთავში გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის გუნდებს შორის. ქუთაისში აღგილობრივმა „ტორპედომ“ მიიღო ტაკენტის „სტარტი“. ერთადერთი ბურთი ამ შეხვედრის მეორე ტაიმში გაიტანა ავალიანმა, რომელმაც გამარჯვება მოუტანა „ტორპედოს“ — 1:0.

* * *

რუსთავში „მეტალურგი“ შეხვდა „პამირს“ (ლენინაბადი), მეტად დაძაბული, საინტერესო ბრძოლა მოიგეს რუსთავის ფეხბურთელებმა ანგარიშით — 2:1.

სსრ კავშირის თასზე

კარგა ხანია დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში. გათამაშების პირველ ეტაპზე მონაწილეობენ „ბ“ კლასის გუნდები, რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან იმავე ზონების მიხედვით, როგორც საკავშირო ჩემპიონატში.

პირველი მატჩები ჩაატარეს ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა. თბილისის „ლოკომოტივი“ 9 ივნისს გომელში შეხვდა ადგილობრივ თანაკლუბელთა გუნდს. თბილისელებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და მიიღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 3:0. თბილისის „ლოკომოტივს“ მორიგი შეხვედრა თასზე ექნება საკუთარ მინდორზე რიგის რეზ-თან.

ამავე დღეს ვიტებსკში თამაშობდნენ ბათუმის „დინამო“ და ვიტებსკის „კრასნოე ზნამია“.

მატჩი მიმდინარეობდა უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში და დამთავრდა ფრედ 2:2. დამატებით დროს შედეგი არ მოუცია.

განმეორებითი შეხვედრა, რომელიც გუშინ შედგა, დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 1:0, შემკეთებელი ქარხანა) გამარჯვებით — 1.15,7, 200 მ ბრასით პირველი იყო მისი თანაგუნდელი მ. მაზერი, ხოლო 400 მეტრზე თავისუფალი სტილით — ვ. ჩერნიკოვი.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს: I ჯგუფში — კიროვის სახელობის ქარხნის („განთიადი“), II ჯგუფში — ელდეპოს („ლოკომოტივი“) სპორტსმენებმა.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ველოსიპედისტები სპარტაკიადის ხაზეიმო გახსნაზე. მარჯვნივ — რესპუბლიკის რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში გ. ჩადუნელი.

მოიხმინეთ სპორტული დღიური

საქართველოს რადიოს უკანასკნელ ცნობათა რედაქციამ მეტად სასარგებლო საქმე წამოიწყო. 6 ივნისს შან პირველად აუწყა მსმენელებს სპორტის ახალი ამბები სპეციალური დღიურის საშუალებით.

სპორტული დღიური ასახავს როგორც რესპუბლიკის, ისე ჩვენი ქვეყნის სპორტული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს თარიღებს, მოვლენებს და ფაქტებს. სპორტულ დღიურს თან სდევს მუსიკალური გაფორმება, რაც მეტ სიხალისეს აძლევს გადმოცემას. დღიურების მასალები ოპერატიულია და მათ ცოცხლად და კვალიფიციურად გადმოსცემენ სპორტული კომენტატორები.

საქართველოს რადიოს ეს ინიციატივა მისასალმებელია. კარგი იქნება თუ გადაცემები რეგულარულ ხასიათს მიიღებენ.

„ირმის ნახტომი“

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავზე მოსკოვის, ბაქოს, ერევნისა და სხვა ქალაქების ტელემაყურებლებმა ნახეს თბილისის ტელესტუდიის სპეციალური გადაცემა, სადაც ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს „ირმის ნახტომი“. იგი შექმნა საქართველოს ტელესტუდიის ახალგაზრდობის რედაქციის გადაღებმა ჯგუფმა.

ფილმი „ირმის ნახტომი“ დინამიურად ვითარდება და მიუხედავად მცირე მოცულობისა, მაყურებელს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის ქართული სპორტისა და ფიზკულტურული მოძრაობის შესახებ საქართველოში. ამ ფილმს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების პროცესში. განსაკუთრებით საგიტაციო მნიშვნელობა ექნება მას საკოლმეურნეო სოფლების ახალგაზრდობისათვის. ამ მიზნით ურიგო არ იქნება საქართველოს კინოგაქირავების კანტორამ შეიძინოს ეს ფილმი და ფართოდ გამოიყენოს რესპუბლიკის ეკრანებზე.

ჟ. ბაშელი

ოსტატის ნორმასთან ახლოს

თბილისის სპორტულ ბაზებზე დაიწყო პროფკავშირთა III საქალაქო სპარტაკიადა, რომლის საზეიმო გახსნა მოეწყო 26 კომ. სახ. რაიონის სტადიონზე, რის შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ მძლეოსნები და მოცურავეები, ხოლო გუშინ სტარტი აიღეს კალათბურთელებმა, ფრენბურთელებმა, ტყვიით მსროლელებმა, მაგიდის ჩოგბურთელებმა და ძალოსნებმა. დედაქალაქში უძლიერესის სახელისათვის იბრძვის „განთიადის“, „ლოკომოტივისა“ და „სპარტაკის“ თითქმის ყველა ფიზკულტურული კოლექტივი.

ფაქტად ისიც კმარა, თუ ვიტყვით, რომ მარტო ფრენბურთელთა ტურნირში 110 გუნდი მონაწილეობს, 90 კოლექტივმა გამოთქვა მაგიდის ჩოგბურთელთა პირველობაში მონაწილეობის სურვილი, სროლაში — 100-მა და სხვ.

მძლეოსანთა პირველი სტარტები მაღალი შედეგით აღინიშნა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ბრძოლები სატყორცნ სექტორებზე, სადაც რესპუბლიკის ორი წამყვანი ბადროსმტყორცნელი, გ. ჩადუნელი (ელდეპო) და კონკურსგარეშე მონაწილე ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გ. გუდაშვილი (ორივეს წვრთნის შ. კილაძე) ერთმანეთს ებრძოდა რესპუბლიკური რეკორდის გასაუმჯობესებლად.

წინასწარ შეხვედრებში რესპუბლიკის რეკორდსმენმა გ. ჩადუნელმა აჩვენა 50 მ 30 სმ. გუდაშვილმა — 49 მ 16 სმ. უველაფერი ფინალმა გადაწყვიტა. გ. ჩადუნელის პირველივე ტყორცნამ საკმაოდ „შეაეიწროვა“ ძველი რესპუბლიკური რეკორდი — 50 მ 78 სმ, ხოლო მესამე ტყორცნამ ბოლო მოუღო მას—53 მ 12 სმ (ახალი რესპუბლიკური რეკორდი), მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. რეკორდსმენის ძლიერ კონკურენტს წინ ჰქონდა 3 ტყორცნა და გამარჯვების დიდი სურვილი. ერთ-ერთ ცდაზე გ. გუდაშვილმა აჩვენა 51 მ 02 სმ, რაც ძველ რეკორდს აღემატება, მაგრამ ჩადუნელის დამარცხება მაინც ვერ შეძლო. სამაგიეროდ, ამ შედეგებით ორივე სპორტსმენმა სერიოზული განაცხადი გააკეთა ოსტატობის ზღვარის — 54 მეტრის გადასალახავად.

100 მ რბენაში ვაკეთა შორის უძლიერესი იყო თბილისის საელმავლო დეპოს გუნდის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი ლ. ანთაძე, რომელმაც ფინალური შეხვედრა მოიგო შედეგით 10.8 წამი, ქალთა შორის გამარჯვება მოიპოვა ბისმა თანაგუნდელმა ფ. სტრახერმა, რომელმაც აჩვენა — 12,8 წ. ასეთივე შედეგი ჰქონდა სპარტაკელ ლ. სუხარევას (ტრანსპორტის მთავარი სამმართველო). ბირთვის კვრა ქალთა შორის მოიგო ე. ბირინბერგმა („ისანი“) — 10.47 მ, სიგრძეზე ხტომაში პირველი იყო ლ. ვოლოშინა („ისანი“) — 5.45 მ; 5 კილომეტრზე რბენაში — ა. ლობჟანიძე (ელექტროგამშვები).

დამთავრდა შეხვედრები ცურვაში. პირად ჩათვლაში აღსანიშნავია მხოლოდ ვ. ჩერნიკოვისა (კიროვის სახელობის ქარხანა) და ე. ვოიტკევიჩის (ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა) გამარჯვება 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში. ორივემ აჩვენა პირველი თანრიგის ერთნაირი შედეგი — 1.02,7 წ. 100 მ ზურგზე ცურვა დამთავრდა ა. პისკარიოვის (ორთქლმავალ-ვაგონ-

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 78 (1714)

კორჯი — 3 საათში





ნეილონის მკვრივი ქსოვილი კომპრესორით იბერება და უზარმაზარ ტენტს ქმნის. პირველად ასეთი ნაგებობა გამოყენებულ იქნა არქტიკულ ექსპედიციებში სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღების შესანახავად. სულ ახლახან ფრანგი ჩოგბურთელები საოცარი მოვლენის მოწმენი გახდნენ. სამი საათის განმავლობაში ორმა მუშამ ასეთი ქსოვილისაგან აღმართა ჩოგბურთის დახურული კორტი. ამ კორტს თქვენ ხედავთ აქ დაბეჭდილ სურათებზე. გადასახურავის გაბარიტები საკმაებით თანხვდებიან ჩოგბურთის ნორმალური კორტის ზომებს: სიგრძე — 41 მ, სიგანე — 15 მ, სიმაღლე — 7.5 მ. ამას გარდა, შესაძლებელია გადასახურავის გაბარიტების შეცვლაც.

ასეთი შედარებით იაფფასიანი დახურული კორტები სრულწლიური წვრთნის საშუალებას იძლევიან. მსგავსი ტენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას კალათბურთის, ფრენბურთის და სპორტის მთელი რიგი სხვა სახეობების მოედნების გადასახურავადაც.

რადიო: — „დაცვა: კოტრიკაძე, სიჭინავა, თორაძე, ჩოხელი“...
ხმები: — „ეაااااااახ...“

რადიო: — „ნახევარდაცვა: სიჭინავა, ზეინკლიშვილი“...
ხმები: — „ოოოოოოხხხ...“



რადიო: — „თავდასხმა: მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი...
ხმები: — „უუუუუუხხხ...“

რადიო: — „თამაში დამთავრდა თბილისის „დინამოს“ დამარცხებით...“
ხმები: — „ეეეეეე...“

ტექსტი ქ. კასრაძისა
ნახატი გ. იაშვილისა

ნ ა კ ვ ე ს ე ბ ი

— ჩემმა ძაღლმა მონკავშირის გამოფენაზე ოქროს მედალი მიიღო, შვილს კი ოსტატობა მოუხსნეს...

— ახლა რას ფიქრობ?

— ახლა ღვინისა და პაპიროსის ფულს ძაღლს მივცემ...

— შალვა, სადაა ვარლამი?

— დაკნაძლევდით, ჭაში ვინ უფრო ღრმად ჩაიხედავდა და მოკვდა.

• • •

— რა ჰქვია თქვენს ცხენს?

— შალხაზი.

— თქვენ?

— ბიყვიტა...

— კი მარა, სახელები ვერ გაცვალეთ?

• • •

— ამ სპორტსმენს რა უმოკლებს სიცოცხლეს?

— სხვისი საღეღგრძელოების სმა.

ბობ ფიშერი... საპატიმროში

ახალგაზრდა ამერიკელი მოჭადრაკე ბობ ფიშერი საკმაოდ თავისებური პიროვნებაა. იყო დრო, როდესაც იგი საკვეყნოდ აცხადებდა: „ჭადრაკის სამყაროში მე ეპოქალური მოვლენა ვარ!.“ უკანასკნელ ხანებში ფიშერს წლებთან ერთად სიღინჯეც მიემატა, მაგრამ უცნაურობა ხასიათში მაინც დარჩა.

ამას წინათ მან ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი 20 დაფაზე... საპატიმროში. ფიშერის მოწინააღმდეგეები იყვნენ პატიმრები, რომლებსაც საერთო ჯამში მისჯილი ჰქონდათ 350 წელიწადი. სეანსს 2.400 ტუსაღი ესწრებოდა.

რამ აიძულა ფიშერი ასეთი უცნაური ნაბიჯის გადასადგმელად? როგორც ჩანს აქ პირველ პლანზეა, არა ჭადრაკის, არამედ რეკლამისა და სენსაციების სიყვარული.

სხვათა შორის

ფეხბურთი ღმერთზეც ძლიერია

ინგლისში არსებობს საზოგადოება, რომელიც თვალყურს ადევნებს კვირაობით ღვთის მსახურების მიერ წესების ზუსტად შესრულებას. ამას წინათ ამ საზოგადოებამ ანათემა გამოუცხადა რამდენიმე მღვდელს, რომლებმაც გაბედეს და „ღვთის“ დღეს ტელევიზიის მუშაკებთან ითამაშეს... ფეხბურთი.

გაუმჯობესდა პრეზიდენტის რეკორდი

1907 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თ. რუზველტმა ერთ-ერთ მიღებაზე 8.513 ადამიანს ჩამოართვა ხელი და დაამყარა ხელის ჩამორთმევის თავისებური მსოფლიო რეკორდი. ამაზე ბევრს წერდნენ ამერიკული გაზეთები. ამას წინათ მაშინდელი გაზეთის ერთ-ერთი ნომერი ხელთ ჩაუვარდა ინგლისელ სტუდენტს ნოტინგემიდან, რომელმაც სცადა გაეუმჯობესებინა პრეზიდენტის მსოფლიო რეკორდი.

ეს სტუდენტი ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე ძალით ართმევდა ხელს კველა გამვლელს და 9001-ის მერე დაეწყო მხრის კრუნჩხვა, რის გამო ერთი კვირა არ მოშორებია საწოლს. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? მან ხომ ამერიკის პრეზიდენტის რეკორდი გაუმჯობესა.

თარსი რიცხვი — 9

ინგლისელმა მოკრივემ გ. ეკსტონმა ერთ-ერთი შეხვედრა ნოკაუტით წააგო და დაუძლურდა. ექიმმა ურჩია დაძინების წინ მისთვის ვინმეს ნელ ტონში ასამდე დაეთვალა.

— რა? ბრძანებთ, ექიმო: — მიუგო მან. — ამ ხერხს მე უკვე მივმართე, მაგრამ ამაოდ, როგორც კი ცხრამდე დამითვლიან ერთბაშად წამოვხტები ხოლმე, თავი ნოკაუტში მგონია.

12 ივნისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახ. პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 35) შედგება საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილებისა და საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ტროპაგანდისა და აგიტაციის საბჭოს კულტურის უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციას წაიკითხავს: პროფესორი ს. ყაუხჩიშვილი, თემაზე: „ქართველი მოაზროვნენი ბიზანტიაში“.

რედაქტორი ი. უგულავა.

მეცამეე მსხვერპლი

ნიუ-იორკში გაბარტლ პროფესიონალ მოკრივეთა შეჯიბრებაზე ნოკაუტის შემდეგ ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა მსუბუქი წონის კუბელი პროფესიონალი მოკრივე ჰოზე რიგორესი. ეს უკვე ამერიკის პროფესიული რინგის მესამე მსხვერპლია მიმდინარე წელს.

ლონდონში... ნორვეგიულ თოვლზე

ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე მოეწყო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა ფინელმა სპორტსმენმა ვ. კანკონენმა. მან მოგრძივა 597,4 ქულა, მეორე ადგილზეა ნორვეგიელი ტ. ბრანდცეგი. მომდევნო ადგილებზე არიან ავსტრიელები ვ. ჰაბერზეტერი, ვ. ეგერი და იტალიელი დ. ზორდი. აღსანიშნავია, რომ „უემბლის“ ტრამპლინზე დაყრილი იყო ნორვეგიიდან ჩამოტანილი თოვლი.

დღეს!

ფიზკულტურელის საზაფხულო პარაკის აუზი

სსრ კავშირის პირველობის დასკვნითი შეხვედრები

„ბალტიკა“ (ლენინგრადი) — „ტრუდი“ (რუფსრ)
„ბურევესტნიკი“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი)
„დინამო“ (ტალინი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი)
„ბურევესტნიკი“ (მინსკი) — მგუ (მოსკოვი)

დასაწყისი 12 ს.

11-14 ივნისი

ველოტრეკი

(კამოს ქ. № 89)

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ველოტროლაში

დასაწყისი 19 ს.

დღეს!

„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური სპარტაკიადა

საზეიმო გახსნა

„შრომითი რეზერვების“ სტადიონზე (ოქტომბრის ქ. № 134). დასაწყისი 12 ს.

გაზეთი გამოდის საქართველოსა, ოსურ, აფხაზურ, ბერძნულ, სომხურ, ინგილოურ, ბასკურ, ესპანურ, ინგლისურ, ფრანგულ, ბულგარულ, ალბანურ, ბელორუსულ, ბერძნულ